საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-08/260

ქ. ბათუმი 02 მაისი 2019 წ.

ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შოთა რუსთაველისა და ხუსეინ ნაკაიძის სახელობითი (საუნივერსიტეტო) სტიპენდიების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №01 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ჩვეულებრივი სტიპენდიების დანიშნვის შესახებ " ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 26 მარტის №01-18/179 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 08 ნოემბრის №01-08/157 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის 2019 წლის 18 აპრილის (ოქმი№4) სხდომის საოქმო გადაწყვეტილების, ბსუს რექტორის მოადგილის თამარ სირაძის 2019 წლის 22 აპრილის MES 9 19 00459543 სამსახურებრივი ბარათისა და სტუდენტთა 2019 წლის 24 აპრილის MES 3 19 00476764, MES 5 19 00473895 განცხადებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შოთა რუსთაველისა და ხუსეინ ნაკაიძის სახელობის (საუნივერსიტეტო) სტიპენდიები 2019 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 1 აგვისტომდე პერიოდზე ერთჯერადად 1000 ლარის (ხელზე გასაცემი თანხა) ოდენობით დაენიშნოთ ბსუ-ს შემდეგ სტუდენტებს:

ა) შოთა რუსთაველის სახელობითი სტიპენდია - არჩილ ჯინჭარაძეს (პ/ნ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტს.

ბ) ხუსეინ ნაკაიძის სახელობითი სტიპენდია - ნესტან ვარშანიძეს (პ/ნ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 სასწავლო წლის სტუდენტს.

2. გამოცემის დღიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2019 წლის 26 მარტის №01-18/179 ბრძანება სტუდენტების არჩილ ჯინჭარაძისა და ნესტან ვარშანიძის ნაწილში.

3. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ეთხოვოს სტიპენდიების გაცემის თაობაზე შესაბამისი აქტის გამოცემა.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მ.ხალვაში